



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	კიკეთის „იუნკერები“ - სამცხე ჯავახეთის „ტაო“		
გუნდი	კიკეთის „იუნკერები“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	11/12/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, ხვამლი არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მწვრთნელი	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	გივი ბერიშვილი		
მომჩივანი	მატჩის კიდის მსაჯი - გიორგი ირემაშვილი მატჩის მეთვალყურე - ირმა გულიაშვილი	დარღვევა	✓ ადიარებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია დანართი # 2: 1. მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე ზე საჯაროდ აპელირება 2. მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა	წითელი ბარათი	✓ საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	14/12/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები :	კი არა
დამრღვევის წარმომადგენელი	კიკეთის იუნკერების წარმომადგენელი - გიორგი ნოზაძე	აღნიშნუთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის კიდის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის, საითინგი მატჩის მეთვალყურის, ირმა გულიაშვილის, საითინგი		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის კიდის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის, საითინგი
2. მატჩის მეთვალყურის, ირმა გულიაშვილის, საითინგი
3. მატჩის მეთვალყურის, ირმა გულიაშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
4. მატჩის კიდის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი
5. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

კიკეთის „იუნკერები“-ს მწვრთნელი, გივი ბერიშვილი, ნაწილობრივ დაეთანხმა მატჩის ოფიციალურ პირთა საითინგებში დაფიქსირებული დისციპლინარულ დარღვევებს და განაცხადა, რომ მისი მხრიდან ნამდვილად ჰქონდა ადგილი რამოდენიმეჯერ მსაჯის გადაწყვეტილებების საჯაროდ გაპროტესტებას და ხმამაღალ აპელირებას, რის გამოც მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის სხდომისას. გივი ბერიშვილმა სურვილი გამოთქვა პირადად მოეხადა ბოდიში მსაჯისთვის (საბა მახარაძე) ამ ფაქტის გამო.

გივი ბერიშვილი არ დაეთანხმა მის მიერ, მატჩის ოფიციალურ პირთა საითინგებში აღნიშნულ, მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს. მან აღიარა, რომ მსაჯის გადაწყვეტილებების საჯაროდ გაპროტესტებისას და ხმამაღალ აპელირებისას რამოდენიმეჯერ გამოიყენა შეურაცხმყოფელი და უხეში ლექსიკა, თუმცა ეს არ ყოფილა პირადად მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფა და გამოწვეული იყო მისი უკიდურესი გაღიზიანებით.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 11/12/2022 გაიმართა I ლიგის IX ტურის მატჩი კიკეთის ‘იუნკერები“-სა და სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს შორის;
2. მატჩის კიდის მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგის მიხედვით(ციტირება) – „თამაშის მეორე ტაიმში, იუნკერების მწვრთნელი, გივი ბერიშვილი გახდა უმართავი. დაიწყო მსაჯის გადაწყვეტილებებზე აპელირება, რამდენჯერმე მივმართე ცენტრალურ მსაჯს რომ გაეჩერებინა თამაში და მიემართა გივი ბერიშვილისთვის რომ დაეცვა სტადიონზე გასათვალისწინებელი წესები. მიუხედავად ამ ყველაფრისა, არ გაითვალისწინა არცერთი გაფრთხილება და განაგრძობდა აპელირებას, რაც სიტყვიერ შეურაცხყოფასი გადაიზარდა მეორე ტაიმის მიწურულს, კერძოდ ბოლო 10 წუთში. ამ ყველაფერთან ერთად გივი ბერიშვილი ცენტრალურ მსაჯს აგინებდა, კერძოდ დედას“.
3. მატჩის მეთვალყურის ირმა გულიაშვილის საითინგის მიხედვით - თამაშის მეორე ტაიმის დროს კიკეთის „იუნკერები“-ს სათადარიგო მოთამაშეების და წარმომადგენლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მსაჯის გადაწყვეტილებებზე საჯაროდ



აპელირებას, განსაკუთრებით გამოირჩეოდა კიკეთის „იუნკერები“-ს მწვრთნელი გივი ბერიშვილი, რომელმაც აპელირებისას სიტყვიერი შეურაცხყოფა(დედის გინება) მიაყენა მსაჯს.

4. კიკეთის „იუნკერები“-ს მწვრთნელმა, გივი ბერიშვილმა, აღიარა მსაჯის გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირებისას მის მიერ გამოყენებული უცენზურო, არაეთიკური ლექსიკა, თუმცა უარყო პირადად მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი.

სადისციპლინო კომისიამ - ფაქტობრივი მოცემულობების, მატჩის ოფიციალური პირების (საითინგების ავტორები) დამატებითი გამოკითხვის შემდეგ იმსჯელა კიკეთის „იუნკერები“-ს მწვრთნელის ზემოაღნიშნული დისციპლინარული დარღვევების შესახებ :

1. დადგენილად ცნო გივი ბერიშვილის მხრიდან მსაჯის გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირების, არასპორტული საქციელისა და ბილწსიტყვაობის ფაქტი;
2. წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობებისა და მატჩის ოფიციალური პირების მოხსენებებიდან სრულად ვერ დაადგინა გივი ბერიშვილის მხრიდან მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი;

გაითვალისწინა გივი ბერიშვილის მიერ დარღვევის აღიარების და მონანიების ფაქტი. იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 2-თ დადგენილი პირობებით და მიიღო შემდეგი

### გადაწყვეტილება

1. კიკეთის „იუნკერები“-ს მწვრთნელს, გივი ბერიშვილს, **4 (ოთხი) კვირით**. 16/12/2022-დან I ლიგის მიმდინარე განრიგის მიხედვით XIII ტურის ჩათვლით, აკრძალოს სათამაშო არეალში(რაც მოიცავს სათამაშო მოედნის მიმდებარე არეალში (სტადიონის ტრიბუნების გარდა) ყოფნას) ყოველგვარი აქტივობა, რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	15/12/2022
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.